

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი N14

30 მაისი, 2017 წელი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი №14

ქალაქი ფოთი

30 მაისი, 2017 წელი

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია

ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

- | | | |
|---|---|--------------------|
| ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხების კომისიის თავმჯდომარე | - | სამსონ კუტალია |
| სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე | - | სევერიანე შენგელია |
| საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე | - | პაატა ჩაგანავა |
| იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე | - | გიორგი შამუგია |
| სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - | | მაია ჩხარტიშვილი |
| ფრაქცია „ქართული ოცნების“
თავმჯდომარე | - | ზურაბ ჩაჩუა |
| ფრაქცია „პატრიოტები უკეთესი
მომავლისათვის“ თავმჯდომარე | - | მალხაზ ბუკია |

მოისმინეს: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-14 სხდომის დღის წესრიგის შესახებ.

/მომხს: აკაკი დარჯანია - საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, თავმჯდომარის მოადგილე/

დღის წესრიგის პროექტში წარმოდგენილია შემდეგი საკითხები:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: სევერიანე შენგელია - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე/

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (12 სკამი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ თხოვნის ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს: სამსონ კუტალია - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე/

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: გიორგი შამუგია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

4. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

/მომხს: გიორგი შამუგია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

/მომხს: მაია ჩხარტიშვილი - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/

აზრი გამოთქვას: ბიუროს წევრმა სევერიან შენგელიამ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-14 სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოსმინეს:1.ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ“ და აღნიშნულ პროექტზე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნის თაობაზე.

/მომხს: სევერიანე შენგელია - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე/

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრმა სამსონ კუტალიამ.

დაადგინეს:ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ“ შეტანილ იქნას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-13 მოწვევის სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

მოსმინეს:2.ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (12 სკამი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ თხოვნის ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ“ და აღნიშნულ პროექტზე ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის დასკვნის თაობაზე.

/მომხს:სამსონ კუტალია - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე/

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრმა მალხაზ ბუკიამ.

დაადგინეს:ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (12 სკამი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ თხოვნის ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ“ შეტანილ იქნას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-13 მოწვევის სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

მოსმინეს:3.ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და აღნიშნულ პროექტზე იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნის თაობაზე.

/მომხს: გიორგი შამუგია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრმა პაატა ჩაგანავამ.

დაადგინეს:ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ შეტანილ იქნას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-13 მოწვევის სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

მოისმინეს:4.ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ და აღნიშნულ პროექტზე იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკისა და სოციალურ საკითხთა კომისიების დასკვნების თაობაზე.

/მომხს: გიორგი შამუგია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

/მომხს: მაია ჩხარტიშვილი - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრმა სევერიანე შენგელიამ.

დაადგინეს:ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე არ იქნას შეტანილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-13 მოწვევის სხდომის დღის წესრიგში და მისი განხილვა გადაიდოს საკრებულოს შემდეგი მოწვევის სხდომაზე.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

მოისმინეს:5. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მე-13 მოწვევის სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ.

/მომხს: აკაკი დარჯანია - საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, თავმჯდომარის მოადგილე/

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრმა გიორგი შამუგია.

დაადგინეს:ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მე-13 მოწვევის სხდომის დღის წესრიგის პროექტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: სევერიანე შენგელია - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე/

/თანამომხს:არჩილ მელიქია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის უფროსი/

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (12 სკამი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ თხოვნის ფორმით, აუქციონის გარეშე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხს: ლევან ჩოჩია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი, ვიცე-მერი/

/თანამომხს:სამსონ კუტალია - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხების კომისიის თავმჯდომარე/

3.ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: ლევან ჩოჩია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი, ვიცე-მერი/

/თანამომხს: გიორგი შამუგია - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა
და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე/

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია